საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია — მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

№ 237
ოთხშაბათი, [illegible]
1922 წ.

ტფილ. ფასი 5000 მან. პროვინც. 6000 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განცხადება.

### თანახმად ქალ. ტფ. აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებისა

ამა წლის მაისის 24-ს თვითეულ სამილიციო უბნებისათვის ინიშნება შემდეგი დღეები სადარაბო ქირის შემოსატანად ყოველ თვიურად ამა წელს. დარაბების მეპატრონეებმა აუცილებლად უნდა შემოიტანონ სადარაბო ქირა ქალაქის სალაროში აღნიშნულ ვადებში.

| | | |
|---|---|---|
| 1 უბანი. | 28—29 | რიცხვში ყოველ თვისა. |
| 2 „ | 15,16 და 17 | „ „ „ |
| 3 „ | 18,19 და 20 | „ „ „ |
| 4 „ | 12,13 და 14 | „ „ „ |
| 5 „ | 8,9,10,11 | „ „ „ |
| 6 „ | 30 | „ „ „ |
| 7 „ | 21—22 | „ „ „ |
| 8 „ | 4,5,6,7 | „ „ „ |
| 9 „ | 1,2,3 | „ „ „ |
| 10 „ | 23,24,25 | „ „ „ |
| 11 „ | 26 | „ „ „ |
| 12 „ | 27 | „ „ „ |

ივლისის 1-დან სადარაბო გადასახადი იმ დარაბებზე, რომლებზეც არ იყო მომატებული ხაზით შეწერილი გადასახადი ამა წლის მაისის 1-ლიდან გადიდებული იქნება 50 პროცენტით.

ის მოიჯარადრეები, რომლებიც აღნიშნულ ვადაში არ შემოიტანებენ საიჯარო გადასახადს, გადაიხდიან ჯარიმას 50-ათას მანეთს ყოველ გადაცილებულ დღეებზე. ის მეპატრონეები, რომლებიც გადააცილებენ 10 დღეს, კარგავენ უფლებას თავის დარაბაზე.

ქალ. ტფ. აღმასრულებელ კომიტეტის საფინანსო განყოფილების გამგე:
თ. ლლონტი.

## ქ. ტფილისის აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილებიდან

**შაბათს, 8 ივლისს**

დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ბოსტნეულობის: პომიდორის, კართოფილის, კომბოსტოსი, ბადრიჯანის, კიტრის და სხვა და სხვა წვანილეულობის, აგრეთვე სიმინდის, ქალაქის მამულში № 1. (ყოფილი მანთაშევის მამული) ვორონცოვის, № 125.

საჯარო ვაჭრობა მოხდება 8 დესეტინა მიწაზე დათესილი ზემოხსენებული ბოსტნეულობით.

საჯარო ვაჭრობა შესდგება ქ. № 1 მამულში (ყოფილი მანთაშევის ბაღი) დღის 12 საათზე. თუ დანიშნულ დროს საჯარო ვაჭრობა შემთხვევით არ შესდგა, უკანასკნელად გადიდობა მეორე დღისათვის (9 ივლისს) დღის 12 საათზე იმავე ადგილზე.

საჯარო ვაჭრობის პირობებზე მოლაპარაკება შეიძლება ქალაქის საადგილ-მამულო განყოფილებაში, ოთახი № 52, ან ქალაქის № 1 მამულში.

## ქალაქ ტფილისის აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილება

აცხადებს, რომ სახლის მესაკუთრეთა

## რეგისტრაცია გაგრძელებულია

ა. წ. 15 ივლისამდე სხვა და სხვა მიზეზების გამო.

3—3 საადგილ-მამულო განყოფილება

## დიდი მომგებიანი ლატარია

### საქართველოს დამშეულთა სასარგებლოთ

### სცადეთ თქვენი ბედი, დაეხმარეთ დამშეულ მმებს.

ფინანსთა სახალხო კომისარიატი აწყობს დიდ მომგებიან ლატარიას, წესები ლატარიისა და ბილეთების შეძენის შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული.

ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

## სინამდვილეს ვერ გაექცნენ

სინამდვილის თვისება იმაშია, რომ იგი იძულებული გვყოფს, რამდენიც არ უნდა დავამციროთ მისი ძალა და სიდიდე, ანგარიში გავუწიოთ და ვცნოთ მისი არსებობა, კარებიდან გავაგდებ, ფანჯრიდან შემოგივარდება და გაიძულებს, რომ იგი იცნო, როგორც ფაქტი ცხოვრების წიაღში წარმოშობილი და მისი განვითარების უდიდესი ფაქტორი. ასეთია სინამდვილის ბუნება საზოგადოთ და კერძოთ იმ სინამდვილისა, რომელსაც საბჭოთა ძალაუფლების და რუსეთის სოციალისტური რევოლიუციის არსებობას ვუწოდებთ.

25 ოქტომბრის გადატრიალებამ მუშათა კლასის დიქტატურის სასარგებლოდ ალაშფოთა და ბრძოლის გუნებაზე დააყენა არა მარტო ბურჟუაზიული წრეები დასავლეთ ევროპა-ამერიკისა; მის წინააღმდეგ იწყო დარაზმვა რეფორმისტულმა მიმდინარეობებმა მუშათა კლასში, რომელთაც გამოხატავს მეორე და ორნახევარი ინტერნაციონალები.

ოთხი წლის შეუდ რეჩელი რევოლიუციონური ბრძოლა და პროლეტარული რკინის დისციპლინის გამომქმელ ვნება შეიქმნა საჭირო იმისათვის, რომ ბურჟუაზიასა და მის ამყოლ „სოციალისტებს" შეეცვალათ აზრი რუსეთის საბჭოთა ძალაუფლებაზე.

„ავანტიურისტული", „ყაჩაღური" და დღე-დღეზე გადასავარდნი" საბჭოთა მთავრობა შეიქმნა ღირსი საერთაშორისო ბურჟუაზიის პატივისცემისა და გენუაში მიწვევის ღირსიც გახადეს. საბჭოთა მთავრობას დაელაპარაკნენ როგორც ისეთ მთავრობას, რომელთანაც მხოლოდ შეიძლება დღევანდელ პირობებში საქმიანი ლაპარაკი ევროპის აღდგენაზე და საზოგადოთ კაცობრიობაში ეკონომიური წონასწორობის დამყარებისათვის. თურმე ნუ იტყვით და სოციალისტური საბჭოთა მთავრობის (რომელიც ამდენი წლების განმავლობაში აღიარებული იყო ანარქისტულ მთავრობად) მონაწილეობა არის აუცილებლად საჭირო იმისათვის, რომ საერთაშორისო ეკონომიური ანარქია დროებით მაინც ორგანიზაციულ და ნორმალურს კალაპოტში ჩადგეს. რუსეთის ჩამოცილება იმ ეკონომიურ ორგანიზმიდან, რომელსაც წარმოადგენდა ომამდის კაცობრიობა, უდრის ამ ორგანიზმის მუდმივი ეკონომიური ავადმყოფობიდან და კრიზისებიდან გამოუვალობას და ამიტომ იძულებულნი შეიქმნა დასავლეთის დიპლომატები მისულიყვენ რუსეთთან სხვა ცნებებითა და ტერმინოლოგიით, ვიდრე ეს იყო ოქტომბრის გადატრიალებისა და ინტერვენციის პერიოდში.

მაგრამ უმთავრესი გარემოება, რამაც აიძულა ანტანტა რუსეთთან ლაპარაკი დაეწყო, მდგომარეობდა იმ რწმენაში, რომ გარეშე საბჭოთა ძალა-უფლებისა და მათი მესვეურებისა არ არსებობს რუსეთში სხვა ძალა, რომლის გამარჯვების პერსპექტივებზე შეეძლო დაემყარებინა მას თავისი პოლიტიკური ანგარიში.

ბურჟუაზია დარწმუნდა, რომ ამ ჟამად მხოლოდ საბჭოთა ძალა-უფლება გამოხატავს რუსეთის პოლიტიკურ-უფლებრივ ვითარებას და სხვა ბურჟუაზიულ თუ „სოციალისტური" პარტიები მხოლოდ პოლიტიკურ ლეშებს წარმოადგენენ.

ეს ფაქტია და ამ სინამდვილით აიხსნება ის საერთაშორისო ურთიერთობა, რომელსაც აქვს ადგილი უკანასკნელ ხანებში ბურჟუაზიულ ქვეყნების რუსეთთან დამოკიდებულების დროს.

მაგრამ ამ ფაქტებს არ სცნობდა და ხასტიკად ებრძოდა რუსეთში საბჭოთა ძალა-უფლების ერთად-ერთ ცხოვრებაში მყოფელ მთავრობად გამოცხადებას განსაკუთრებით მეორე ინტერნაციონალი, იმიტომ, რომ იგი ხედავდა საბჭოთა რუსეთის განმტკიცებაში თავისი ტაქტიკისა და პოლიტიკური პლატფორმის სრულს გაკოტრებას და სრულიად ბუნებრივია ის სიძულვილი და ყოველივე ეთიკას მოკლებული კამპანია, რომელსაც იგი რუსეთის წინააღმდეგ აწარმოებდა.

მაგრამ ამ სიძულვილმა და ზიზღმა დამალა სინამდვილე და თვალი აუხვია რუსეთის რევოლიუციაზე გაბოროტებულ პარტიებსა და პირებს.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მხოლოდ ახლა და ისიც თანდათანობით მიდიან მეორე ინტერნაციონალის წარმომადგენლები იმ დასკვნამდის, რომ გარეშე საბჭოთა სისტემისა სხვა ფორმისას სახელმწიფოებრივი სისტემისას არ ძალუძს იხსნას რუსეთი ეკონომიურ-პოლიტიკური ანარქიისაგან; და ეს იმიტომ, რომ მხოლოდ საბჭოთა მთავრობა, მთავრობა რუსეთის მუშათა და გლეხთა უყვარს მთელი რუსეთის მშრომელ ხალხს, რომ სახელმწიფო ხელთ უპყრია არა უზურპატორთ (როგორც ამას ყოველ გზაჯვარედინზე ამტკიცებდნენ აქამდის ვანდერველდე და კამპანია), არამედ სრული ნდობითა და მასსების ნებით განმტკიცებულ მთავრობას.

ასეთი გაბრაზებულ და გაწყრომილად გაქცეული რუსეთიდან, ჯერ კიდევ გუშინ, ვანდერველდე იძულებული იყო დაბრუნებისას ეღიარებინა, „რომ მხოლოდ საბჭოთა მთავრობას შესწევს უნარი გასწიოს მტკიცე ბრძოლა რეაქციის და ანარქიის წინააღმდეგ. საბჭოთა ხელისუფლების მთავრობის მოწინააღმდეგეებმა დაჰკარგეს ყოველგვარი გავლენა. ძველი პარტიები იწვევენ საერთო ზიზღს".

ძნელი წარმოსადგენია ვანდერველდე ამ სიტყვების მთქმელი იმისათვის, ვინც იცნობს ვანდერველდეს გუშინ ბერლინის სამ ინტერნაციონალის სხდომაზე.

მართლაც ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ გამოუტანო განაჩენი არა მარტო შენი დამცველობის ქვეშ მყოფ მემარჯვენე ესერებს უფრო ადრე, ვინემ ამას იზამდეს რევტრიბუნალი. ეს არსებითად ნიშნავს მისგან კაპიტულიაციას სინამდვილის წინაშე, ქედის მოხრას ცხოვრების ულმობელი ფაქტების წინ.

და მართლაც ვანდერველდემ, რომელიც ხელს უშლიდა გენუას წინ, შემდეგ გენუას პროცესში მოწვეულ ყოფილიყო საერთაშორისო მუშათა კლასის კონგრესი უმთავრესად იმიტომ, რომ არ უნდოდა უკანასკნელს გავლენა მოეხდინა გენუის ბურჟუაზიულ დიპლომატიაზე საბჭოთა მთავრობის სასარგებლოდ, (რადგან მას კიდევ ეგონა, რომ საბჭოთა ძალა-უფლება ფიქციაა და არ ეყრდნობა უმრავლესობის ნდობას) გამოთქვა ტრაგიკული დამარცხება მეორე და 2 ნ. ხ. ინტერნაციონალის პოლიტიკისა.

ჩვენ გაზეთებიდან ვკითხულობთ მეორე უფრო საყურადღებო ფაქტს ამ დამარცხების საილუსტრაციოდ და სინამდვილის სასარგებლოდ: ლონდონში მუშათა პარტიის კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც „მოითხოვს საბჭოთა მთავრობის დაუყოვნებლივ ცნობას და აგრეთვე იაპონიის მიერ ციმბირიდან ჯარების გაყვანა".

ინგლისის მუშათა პარტია იყო და არის ერთი სულის ჩამდგმელთაგანი მეორე ინტერნაციონალის იმ რეფორმისტული პოლიტიკისა, რომელიც შეიქმნა უმთავრესი მიზეზი ევროპაში რევოლიუციის განვითარების შეჩერებისა და ფაქტორი რუსეთის სოციალისტური რევოლიუციისათვის ჯებირების შექმნის დროს.

რას ნიშნავს ყოველივე ეს, როგორი პოლიტიკური შეფასება უნდა მივსცეთ ასეთ ფაქტებს?

რაღა თქმა უნდა, ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ მეორე და 2-ნახ. ინტერნაციონალებმა იარაღი დაჰყარეს და ბრძოლას არ განაგრძობენ, რომ ფაქტის აღიარებით რუსეთში, არ იბრძოლებენ მის წინააღმდეგ სხვა გვარად და სხვა საშუალებით.

ჩვენ მხოლოდ ვამბობთ, რომ რეფორმისტების პირველი დამარცხება იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთის სინამდვილის წინაშე იხრებიან და მორცხვად აღიარებენ მას, რაც მოჩვენებად და მხოლოდ უზურპატორთა სიზმრებად მიაჩნდათ.

მიუხედავად ამისა ამ მოვლენას დიდი მორალური და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს დასავლეთ ევროპის მუშათა კლასის რევოლიუციონური განვითარებისათვის, რომ ეს პირველი ნაბიჯია რევოლიუციის გამარჯვებისაკენ გადადგმული.

უკვე საბჭოთა ძალა-უფლება არ ხდება დასავლეთ ევროპის მუშათა კლასისათვის დაფრთხობილი ექსპერიმენტი და მისი არსებობა რუსეთში ბუნებრივად და აუცილებლად არის აღიარებული.

ხვალ მუშათა კლასი მთელი ევროპისა მივა იმ დასკვნამდის, რომ პროლეტარიატის დიქტატურის ფორმა საბჭოთა ძალა-უფლების სახით აუცილებელი და ბუნებრივი თვით ევროპისათვის.

ეს აუცილებელი, რადგან სინამდვილის ანგარიშის გაწევა, რომელსაც იჩენენ თვის რეფორმისტული წრეები, მოითხოვს შემდეგ დასკვნას, ლოღიკურ განვითარებას.

ის პოლიტიკური ფორმა, რომელიც ერთი ქვეყნის მუშათა კლასისათვის აუცილებელია, შეიძლება არ გახდეს აუცილებელი და საჭირო მეორე ქვეყნის იმავე კლასისათვისაც.

## ამერიკის იმპერიალიზმი

(გაკვრით)

ამ ჟამად მსოფლიოში ერთ უდიდეს იმპერიალისტურ სახელმწიფოდ ითვლება ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატები. ამერიკა მდიდარი არის თავისი ბუნებრივი დოვლათით. მისი ეკონომიური ცხოვრება გიგანტიურის ნაბიჯით მიდის წინ. საერთაშორისო ომმა დიდი სარგებლობა მოუტანა ამერიკას; ის ერთად ერთი გამოვიდა გამარჯვებული ომიდან როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურადაც მაშინ, როდესაც მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები (ინგლისი, გერმანია) დასუსტდნენ ომის გამო. ამერიკამ უმაღლესად განავითარა თავისი საწარმოო ძალები და დღეს თითქმის ყოველ დარგში ამარცხებს ინგლისს. ნახევარზე მეტი მსოფლიოში არსებულ ოქროსი დღეს ამერიკის ბანკების ხელში არის დაგროვილი, ომამდე დავალიანებული ამერიკა დღეს მსოფლიოს კრედიტორი გახდა და არ არის არც ერთი სახელმწიფო, რომელიც მისგან არ იყოს დავალიანებული. მარტო მოკავშირეებმა მას უნდა მისცენ 11 მილიარდი გირ. სტერლინგამდე. გასაოცარის სისწრაფით გაიზარდა ამერიკის მრეწველობა და ფლოტი. თუ ომამდე მას მეშვიდე ადგილი ეჭირა ფლოტის ტონაჟის საკითხში, დღეს მისი ძალა ამ დარგში დიდათ გაიზარდა და მეორე ადგილი უჭირავს მსოფლიოში. ამ მხრივ ინგლისი სდგას პირველ ადგილას.

აქამდე ამერიკელები თითქოს მისდევდნენ მონროეს ცნობილ დოქტრინას „ამერიკა ამერიკელებისათვის", ამ დოქტრინის მიხედვით ამერიკა ხელს იღებდა საგარეო პოლიტიკაზე და თავისი შინაური საქმეებით კმაყოფილდებოდა. ფაქტიურად ეს დოქტრინა კაი ხანია დარღვეულია ამერიკელი პოლიტიკოსების მიერ და იმპერიალისტურს დატაცებაში „დემოკრატიულმა" ამერიკამ საკმაო როლი ითამაშა ამერიკის ეკონომიური ძალები და სამრეწველო კაპიტალი იმდენად განვითარდა, რომ იგი ვეღარ ეტევა თავის ნაციონალურ საზღვრებში და მარტო მსოფლიოს დაპყრობას ლამობს.

ეს არის საერთო კანონი კაპიტალისტური მეურნეობის; ევროპის კაპიტალიზმი აზიის, აფრიკისა და თვით ამერიკის ჩამორჩენილი ქვეყნების ექსპლოატაციით აღიზარდა და დღესაც უმთავრესად კოლონიალური მხარეებით საზრდოობს. ამერიკა გიგანტიურის ნაბიჯებით გამოვიდა საერთაშორისო პოლიტიკაში და ვუდრო ვილსონის „ერთა ლიგის" ტკბილი მუსიკის მოსმენით შეუჩერებლივ ანხორციელებდა იმპერიალისტურს აგრესივობას თავისი პატარა მეზობელი რესპუბლიკების მიმართ. ამერიკის იმპერიალიზმის ობიექტს წარმოადგენენ ცენტრალური და სამხრეთი ამერიკა, ჩინეთი და წყნარ ოკიანეს სანაპიროები. აქ მას დიდი ხასიათის კონფლიქტები მოსდის ინგლისთან და იაპონიასთან. მაგრამ მარტო ამ ტერიტორიებით არ კმაყოფილდება ამერიკა. წინა აზია, მესოპოტამიისა და სპარსეთის ნავთი ძლიერ იზიდავს ამერიკის კაპიტალისტებს. სპარსეთში ამერიკამ უკვე გაიბა თავისი ქსელი და ნავთის ტრესტმა „სტანდარტმა" საკმაოდ მოზრდილი ნავთის ქების კონცესიები აიღეს იქ. ამ რამდენიმე თვის წინეთ რადიო-გადმოგვცემდა, რომ ამერიკის დიპლომატებმა განაცხადეს: ევროპის ეკონომიური აღორძინება შესაძლებელი იქნება მაშინ, თუ გერმანიის აფრიკის კოლონიებს გადასცემენ ამერიკას საექსპლოატაციოთ. ამ დიპლომატიური წინადადების შინაარსი სხვანაი-

რად უნდა გავიგოთ: ამერიკა იმ შემთხვევაში დაეხმარება ევროპას, თუ ამის კომპენსაციისათვის მას მისცემენ აფრიკის ტერიტორიის ნაწილს. აქ აღსანიშნავია ის, რომ ამერიკას უკვე ეკონომიური ინტერესები აქვს აფრიკაში და ამიტომ ცდილობს მტკიცე პოლიტიკური ბატონობაც მოიპოვოს აქ.

ამ გვარად ამერიკა გაცხარებულ იმპერიალისტურ პოლიტიკას აწარმოებს და პირწავარდნილად იმეორებს იმ მეთოდებს, რომელსაც მიმართავდნენ ძველი იმპერიალისტური სახელმწიფოები წინად. ამერიკა ერთ დროს თვით იყო იმპერიალისტური ექსპლოატაციის ობიექტი, დღეს იმდენად გაიზარდა და გაძლიერდა იგი ყოველ დარგში, რომ თავის ყოფილს ბატონებს გაასწრო და თვით ეძებს საყვლეფ ობიექტებს. ასეთია ისტორიული ცხოვრების დიალექტიკის კანონი.

მოსკოვის „იზვესტია" (№ 139) ეხება ამერიკის იმპერიალიზმის ზოგიერთს მეთოდებს და არკვევს სესხის როლს ამერიკელი იმპერიალიზმის განვითარების საქმეში. ამ წერილიდან მოვიყვანთ რამოდენიმე ცნობას შემოკლებით.

ამერიკამ შეიარაღებული ძალებით მოახდინა კუნძულ გაიტის ოკუპაცია და აიძულა ზანგების რესპუბლიკა აელო 14 მილიონი დოლარის სესხი, რომ მოეხდინა თავისი ვალების ლიკვიდაცია ზოგიერთ ევროპიელ კრედიტორების. სესხი მიცემული იყო მეტად გამანადგურებელ პირობებში. თვით პრეზიდენტმა განაცხადა პროტესტი, მიუთითა რა, რომ ამ სესხის გამო მარტის ბიუჯეტში ყოველ წლიურად იქნება ერთი მილიონ დოლარის დეფიციტი. ამ ოკუპაციონურმა სკანდალმა გამოიწვია ენერგიული პროტესტი „შტატების ლიბერალურ ელემენტების" მხრიდან. მაგრამ თავიანთი საზოგადოებრივი აზროვნების მოსატყუებლად შტატების მთავრობამ მოაწყო მარტში არჩევნები თავიდან ფეხამდე შეიარაღებული ამერიკული მატროსების ზედამხედველობით და მასთანვე მიღებული იყო „დემოკრატიულ" მთავრობის მიერ პრაქტიკულად ნაცადი ფოკუსები.

ამერიკამ თავისი ტარი დაადგა აგრეთვე ზანგების რესპუბლიკას აფრიკაში—ლიბერიას და ესეც უწინარეს ყოვლისა მოხდა სესხის ფორმებში. ლიბერიას აქვს საგარეო ვალი 1.650.000 დოლარი, მასთანვე მისი მთავარი კრედიტორი არის ამერიკელი პირპონტ მორგანი. შეერთებულმა შტატებმა გამოიმუშავეს ძლიერ მოხდენილი პროექტი ხელშეკრულებისა ლიბერიის პრეზიდენტთან ერთად, რომლის ძალითაც ამ ზანგების რესპუბლიკას უნდა მიეცეს 5 მილიონი დოლარის სესხი. ამ ხელშეკრულებაში დაწვრილებით არის აღნუსხული, თუ რა საჭიროებისათვის აქვს უფლება დაახარჯოს ლიბერიის მთავრობას სესხის სახით მიღებული ფულები. ერთი პარაგრაფი მოითხოვს დაუყოვნებლივ გადახდას პირპონტ მორგანის ძველი ვალების; ამის შედეგად მოხდა ის, რომ მისი სესხის ობლიგაციების კურსი 75-დან ავარდა 98-მდე და ერთის კალმის მოსმით მორგანისა და სხვების ჯიბეში ჩაცვიდა 300 ათასი დოლარი. სესხის მიცემასთან დაკავშირებით ლიბერიაში ამერიკული საკანტროლო კომისია, რომელსაც მინიჭებული აქვს ძლიერ ფართო უფლებები. ეს კონტროლი (სახელმწიფო ბიუჯეტზე) იარსებებს მანამ, სანამ არ იქნება გამოყიდული სესხი, მასთანვე განსაკუთრებითი პარაგრაფით ლიბერიას აკრძალული აქვს აიღოს ამერიკის დაუკითხავად სხვა სესხი, ასე რომ ლიბერიას არ აქვს იმედები გამოიყიდოს თავისი თავი ამერიკის კაპიტალის მაგარ ბრჭყალებიდან.

ეს ფაქტები საკმაო ნათელს ფენენ ამერიკის დღევანდელი პოლიტიკის შინაარსს: მას აშკარა და იმპერიალისტური მიზნები უდევს სარჩულად: ამერიკის კაპიტალის საექსპლოატაციო ობიექტად უნდა გადაიქცეს არა მარტო გატისა და ლიბერიის ზანგების რესპუბლიკა, არამედ თვით კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის აკვანი,—დღეს ეკონომიურად და პოლიტიკურად დასუსტებული ევროპაც. ამერიკის ერთი უდიდესი მტერი არის ინგლისი. ამ ორ სახელმწიფოთა შორის დღეს გაცხარებული ჯიბრობა არის და მათი ინტერესთა დაპირისპირება ტონსა და შინაარსს აძლევს მთელი თანამედროვე პოლიტიკის ვითარებას. ევროპის ეკონომიური აღდგენა ინგლისის გამაგრებასა და მისი ჰეგემონიის განმტკიცებას ნიშნავს. ამიტომ ამერიკა გვერდზე სდგას ევროპის ეკონომიურ აღდგენის საქმიდან და ხელს უშლის ინგლისს თავის პროექტების განხორციელებაში სხვა და სხვა დიპლომატიური ხრიკებით. ამერიკის მიზანია ევროპა დაუმორჩილოს თავის ბატონობას. ამერიკის შემოტევა ევროპაზე, რომელიც ასე აშინებდა ევროპის პოლიტიკურ მოღვაწეებს ამ უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში, დღეს სისტემატიურს ხასიათს ღებულობს და ამერიკა თითქმის ყოველის მხრით აშინებს ევროპას. ამისათვის მას ყოველი გარემოება და პირობები უწყობს ხელს. ომის გამო ეკონომიურად დაუძლურდა ევროპა, მისი საწარმოო ძალები დაიქსაქსა და დღეს იქ დიდს სამეურნეო კრიზისს აქვს ადგილი. ცენტრალური ევროპა განადგურებულია ეკონომიურად. ამ გვარს პირობებში მყოფს ევროპას არ აქვს შეძლება თავისი საკუთარის ძალებით აღადგინოს განადგურებული სამეურნეო ცხოვრება. მასთანვე რუსეთის მდიდარი ბაზარი თავისი უხვი ბუნებრივი დოვლათით ჯერ-ჯერობით მიუღწეველი არის ევროპისთვის. მეორეს მხრით, პოლიტიკურადაც ევროპის კონტინენტი ძლიერ საშიში ავადმყოფობით არის დასნეულებული. სამოქალაქო ომები და კლასთა შეურიგებელი დაპირისპირება, წითელი საფრთხე, რომელსაც ხელმძღვანელობს კომინტერნი და საბ. რუსეთი ერთის მხრით, და მეორეს მხრით თვით კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის არსებული გარდუვალი ინტერესთა წინააღმდეგობანი. აი რა ღრღნის და ანადგურებს დღეს ევროპის კონტინენტს პოლიტიკურად. ევროპის ქვეშ დღეს კვლავ მოისმის გუგუნი და არავინ იცის სად და როგორის სახით აღმოსკდება იგი.

სულ სხვა სურათი გადაგეშლებათ თვალწინ, თუ ამერიკის განვითარებას გადაავლებთ თვალს, ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში, როგორც აღვნიშნეთ, ომმა ამერიკის კონტინენტს დიდი შედეგები მოუტანა, ეკონომიურად წინ წასწია ეს მხარე. ამერიკა დღეს იღრჩობა ზედმეტი კაპიტალის დაგროვებით და ეძებს ბაზარს მისს ასამუშავებლად. ომის შემდეგ სიმძიმის ცენტრი აუცილებლად გადაიხარა ამერიკისაკენ და დაქსაქსულს ევროპას აღარ ძალუძს წინააღმდეგობა გაუწიოს ამერიკის კაპიტალის შემოტევას. თითქმის ას მილიონიანი ამერიკა (კოლონიებით 110 მილიონზე მეტია), მდიდარი სამეურნეო ცხოვრების ყოველი დარგით, მქონე მაღალი ინდუსტრიალური კულტურისა და ტეხნიკის, უმაღლესად განვითარებული სასოფლო მეურნეობით, გიგანტიურის ნაბიჯით მიექანება მთელი მსოფლიოს დასაპყრობად. ევროპის ძალები ამერიკის წინააღმდეგ ბრძოლაში იქსაქსება და ვერ გამოდის მთლიანად. ამერიკამ საკმაოდ ისარგებლა ევროპის სახელმწიფოებრივ არსებულ წინააღმდეგობით და ერთი მეორეს უსისინებს ამ სახელმწიფოებს. ამ მხრივ მისს კოზირს ამ ჟამად ევროპაში საფრანგეთი წარმოადგენს. მასთანვე ეკონომიურად უკვე შეიჭრა ამერიკა ევროპაში და ამერიკის კაპიტალი საკმაოდ კონკურენციას უწევს ევროპის კაპიტალს თავისივე კონტინენტზე. ეკონომიურად ამერიკის შეჭრა ევროპაში ორი სახით მოხდა: ამერიკის უმაღლესად განვითარებულმა კაპიტალისტურმა ტეხნიკამ დაბალს ფასებში საუკეთესო საქონელი შეიტანა ევროპაში და ამით დიდი კონკურენცია გაუწია ევროპის წარმოებას, ამ მხრივ ევროპა ამერიკის საქონლის მომხმარებელი შეიქმნა. მაგრამ საერთაშორისო ომმა ევროპის ეკონომიური მდგომარეობა იმდენად შესცვალა, რომ უდიდესი ბაზარი შექმნა ამ კონტინენტზე ამერიკის კაპიტალს და ამ რიგად გაცხოველებულის ენერგიით ვითარდება თვით ამერიკის კაპიტალის ექსპორტი ევროპაში. დღეს ამერიკის კაპიტალის დახმარებით და [illegible] საფრანგეთის დარღვეული ჩრდილო დეპარტამენტები [illegible] კულტუროსან გერმანიაში ამერიკის კაპიტალი დღეს დიდ მუშაობას ეწევა. ამ გვარად ამერიკის კაპიტალი, მისი სამრეწველო იარაღები და ტეხნიკა უშუალოდ შეიჭრა ევროპის კონტინენტზე და იქ თავის სასარგებლო მუშაობას აწარმოებს. როგორც ვიცით, საერთაშორისო ომის დროს ამერიკის კაპიტალის პროდუქტებით ორივე მებრძოლი მხარეები სარგებლობდნენ. (ეკონომიურად კი ამერიკამ ისარგებლა და სამხედრო იარაღების მიწოდებით უზღვავი ოქრო გაზიდა თავის ოჯახში და ევროპას კი გამანადგურებელი მანქანები დაუტოვა) და ბოლოს მისმა ტეხნიკამ გადამჭრელი როლი ითამაშა გერმანიის დამარცხების საქმეში. მაგრამ არა მარტო სამრეწველო კაპიტალის ექსპორტი ხდება ევროპაში ამერიკიდან, არამედ სესხის სახით დღეს ევროპა ძლიერ დავალიანებული არის ამერიკისაგან. ამერიკა დღეს მთელ მსოფლიოს კრედიტორი არის და ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოები დავალიანებულნი არიან მისგან. მოკავშირეებმა ამერიკას დაახლოვებით 11 მილიარდ გირვანქა სტერლინგამდე უნდა მისცენ. ეს გარემოება იმდენად მძიმე ლოდათ აწევს ევროპას, რომ გადამჭრელს როლს თამაშობს საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში. სესხის სახით ამერიკას ევროპის მძიმე ლაგამი უჭირავს ხელში და შესაფერის მომენტებში, როდესაც ეს მისთვის საჭირო არის, მაგარის დაჭერით ხშირად აჩერებს ევროპას პოლიტიკას ამა თუ იმ მიმართულებას.

ყველა ეს ფაქტები, ამერიკის სამრეწველო კაპიტალის შეჭრა ევროპაში და უკანასკნელის ფინანსიური დავალიანება ამერიკისაგან, ნათლად ამჟღავნებს იმ ტენდენციას, რომ ეკონომიურად ამერიკა თანდათანობით იმონებს ევროპას და კაპიტალისტური მსოფლიოს ცენტრი უკვე

---

# სატირიკონი

## (გაზეთი გაზეთში)

ყოველ კვირეული იუმორისტული გამოცემა.

№ 10 № 10

**ხელის მოწერა.**

„სატირიკონზედ" არ მიიღება, ვინაიდან რედაქციის მეცადინეობით ტეხნიკა იმდენად განვითარებულია, რომ ჩვენი გამოცემა თავის თავად მიუვა „ტრიბუნის" ხელისმომწერლებს.

**თანამშრომელთა საყურადღებოდ.**

ყოველი მასალა უნდა გამოიგზავნოს „ტრიბუნის" მისამართით და წარწერით: „სატირიკონისათვის".

### დამოუკიდებლობა.

რუსეთის რევოლუციამ ვის არ მიანიჭა დამოუკიდებლობა, მაგრამ „სატირიკონი" მაინც ვერ ეღირსა „ტრიბუნისაგან" დამოუკიდებლობას. რამდენი არ ვიბრძოლეთ, რამდენი არ ვუტკიცეთ, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მერმე რა მარტივი და უდავო იყო ჩვენი დასაბუთება: ვინაიდან არც „ტრიბუნა" მოიშლის თავისას და არც ბოლშევიკები, ამიტომ ხომ იცით, ვინ დაიჩაგრება? მაშ „სატირიკონის" ხსნა დამოუკიდებლობაშია—თქო, ვეუბნებოდით.

— სხვანაირად ჩვენ ვერც კი წარმოგვიდგენია, გვიპასუხეს „ტრიბუნიდან". დამოუკიდებლობისათვის ვიბრძვით ჩვენ მთელი არსებით და თქვენ რომ სხვანაირად მოიქცეთ, ახლოსაც არ გაგიკარებთო...

ჩვენ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, პირდაპირ ზეცას ვეწვდებოდით და კიდევ ზევითაც ავშორდებოდით მაგრამ...

— მაგრამ დამოუკიდებლობა კი არა, ჩვენ უნდა განვახორციელოთ ნამდვილი დამოუკიდებლობა...

— მაშ ეხლავე ჩვენ შევუდგებით, „სატირიკონის" ცალკე გამოცემას...

— როგორ? ეს არის თქვენი დამოუკიდებლობა, ცალკე გინდათ იარსებოთ? მერმე ხომ მეორე ნომერზედვე სული ამოძვრება თქვენს „სატირიკონს" უსახსრობით? ახლა ხელის მომწერლების შეძენა, მათი მისამართების წერა, ფოსტაში ჟურნალის გზავნა, ექსპედიციის მოწყობა და კიდევ ვინ მოსთვლის, რამდენი ტეხნიკურ დაბრკოლებას წააწყდებით. არა ეკონომიურად არის თქვენთვის ეს ხელსაყრელი: მარტო „სატირიკონს" გასავალი არ ექნება. ეხლა კი ყველაფერი ეს მოხმარებულია და ნამდვილი დამოუკიდებელიც სწორედ ეხლაა „სატირიკონი". სწერეთ რაზედაც გინდოთ, მხოლოდ ეკონომიური და ტეხნიკური პირობები მოითხოვს, რომ „ტრიბუნაში" იყოს მოთავსებული მასალა.

დავრწმუნდით, აბა რაღა უნდა გვექნა. მაგრამ კარგათ ვერ გავიგეთ მაინც. რას გვიშველიდა ეს ნამდვილი დამოუკიდებლობა, როცა „ტრიბუნას" ადგილი აღარ ეყოფოდა ჩვენთვის, ან დაიჭერდენ, ან დახურავდენ. თუმცა ამის მაგალითები ჯერ არ ყოფილა, მაგრამ ყველაფერს უნდა მოელოდეს კაცი..

და მართლაც მალე გამართლდა ჩვენი აზრი. „ტრიბუნამ" ანგარიში ვერ გაუსწორა სტამბას და ნისიად აღარ დაბეჭდეს, ნისია—სხვისიაო, შემოუთვალეს. ნისიად სხვებს რომ ვუბეჭდავთ, ისიც კმარა და თქვენ ბურჟუები ხართ, აწი ნაღდზედ უნდა გვიდეთო.

შეჩერდა გაზეთი. სატირიკონის მასალები კი დამზადებული გვქონდა. განვიზრახეთ დამოუკიდებლობაზედ ჩამოგვეგდო ლაპარაკი, მაგრამ ვეღარ გავბედეთ. „ტრიბუნის" რედაქტორი ძალიან ცუდ გუნებაზედ იყო და აქეთ შემოგვიტია:

— თქვენ კიდევ დამოუკიდებლობას მოითხოვდით, როცა ერთად ვერაფერს გავხდით და ვალი დაგვედო. ასეთ წუთს გამოყოფაზე ფიქრიც კი დანაშაულია, ცხარობდა რედაქტორი.

მადლობა ღმერთს, რომ არაფერი წამოგვცდა დამოუკიდებლობის შესახებ, თორემ უეჭველად მოღალატეებად გამოგვაცხადებდა და დაიწყებოდა ჩვენი პროცესი. მერმე რომელიმე ინტერნაციონალში მაინც იყოს ჩაწერილი „სატირიკონი", რომ დამცველები გამოგვიგზავნოს...

რაღას ვიზამდით, ისევ წინადადება შევიტანეთ: მოდი მოვახდინოთ გადატრიალება და პოლიგრაფიას გაუგზავნოთ მემორანდუმი: თუ გაზეთს ისევ ნისიად დაგვიბეჭდავს და ძველი ვალების გასასტუმრებელ სესხს მოგვცემს, მაშინ ვსცნობთ ძველ ვალებსთქო. წინადადება მიღებულ იქნა ცოტა შესწორებით. უმჯობესად იქნა ცნობილი ჯერ გადატრიალება არ მოგვეხდინა, არამედ დავემუქრებოდით: თუ ჩვენ მოთხოვნილებებს არ შეასრულებთ, გადავტრიალდებითქო. ამრიგადვე დაუმატეთ კონტრ-მოთხოვნილებები ჩვენი სტამბის დაბრუნების შესახებ.

მემორანდუმმა გასჭრა და გაზეთი კვლავ გამოვიდა, მაგრამ ჩვენ საბოტაჟს მივმართეთ და „სატირიკონის" მასალები არ გადავეცით. მაგრამ ვერც ამით მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა და ვრჩებით ისევ ნამდვილი დამოუკიდებელი. ამით აიხსნება, რომ დღევანდელ ნომერში ძველი მასალაც არის მოთავსებული.

ავენა წკაპურტაძე.

### მონარქისტული მოძრაობა.

კვირას, ივნისის 25, ტფილისში აღმოაჩინეს მონარქისტული შეთქმულება, რომელიც დროზედ გაიგო სრ. საქართ. მწერალთა კავშირმა და სწრაფად ჩაქრო მამაცი გენერალის სიკო ფაშალიშვილის ხელმძღვანელობით. მაგრამ საქმე ამით როდი გათავებულა. მონარქისტული მოძრაობა სწრაფად გადავიდა გერმანიაში და თანდათან ძლიერდება, რადგან იქ არც ს. ფაშალიშვილია და არც ქართ. მწერალთა კავშირი, რომ ენერგიული ზომებით ბოლო მოუღონ ამ საშიშ მოვლენას.

### სატირიკონს

ზაფხულში კარგია სატირიკონი,
ქალები გნებავთ თუ გინდა ფსონი;
ატამი, კიტრი, ბალი თუ მარწყვი,
მას თეთრი ღვინო—წყალი სიფონი...
მუნ ცუდლუტები თუ გინდა ქოსა,
რომ წაიკითხავს სატირიკონსა,
ჩქარა ვერ გავა ჭორების ფონსა;
დავამთავრებთ სატირიკონში
ხონში იქნება თუ გინდა ონში...
ზამთარს,—რა გითხრა ჩემო სატირა!
თუ უპატრონმა არ ამატირა,—
მე მკითხე მაშინ შენ იუმორი!
მგონია მიყო ტუჩზე მმორი.
ვგრძნობ ვერ მიშველის სატირიკონი,
თუ არა მჟადი მარაგ-ნაქონი;
მუნ ცოტა ყველი და ლორის ქონი...
და თუ გავსცურე მე ზამთრის ფონი
დამიპატიჟეთ სატირიკონი...

ჭ ნჟიდა.

### მჟადის სარგებლობა

(შემდეგი *)

..„სიმინდის (მჟადის) ნოყიერი ნივთიერებანი ნაწილობრივ ტვინის ზევითა გარს ერთვის და აჯანსაღებს"..

(სახ. უნივერსიტეტის ასისტენტის გამოკვლევიდან).

მაგრამ აწ კმარა! რა საჭიროა მჟადის სარგებლობის შესახებ ამდენი მაგალითი? უეჭველია ცხადია! იმედია აღნიშნული პირნი, რომელთაც შევეხე მეცნიერულ დებულების ცხადყოფისათვის და საილუსტრაციოთ უკმაყოფილებას არ გამოსთქვამენ... მით უმეტეს: ჩვენი მჟადლობა წარიმართება მეცნიერებისადმი ღრმა სიყვარულით და არა რაიმე სხვა მოსაზრებით... მთელი არქიტექტონიკა ჩვენი მჟადლობის, მაგალითების მიისწრაფვის იქეთკენ, რათა ცხადყოფილ გახდეს მიზეზი იმერელთა გონიერივ ზრდისა... შემდეგში ჩვენ შევეცდებით ქართლ-კახეთის გენიალობის საბაბის შესახებ ვსთქვათ ორიოდე სიტყვა. ჩვენი წერილი ძალზე გადაიჭიმა... შესაძლოა მაგალითებით ჟავი შევაწყინეთ მკითხველს.. მართალიც ვინ არ იცის: მას შემდეგ რაც დამოუკიდებლობა გამოცხადდა მჟადის ზეგავლენით შექმნილი გენიოსები ის მოდგენ საქართველოს, ვით წვიმის შემდეგ ნიყვები ტყეს... მჟადია ყველაფერი, მჟადია გენიალობის საბაბი, ძნელია უმჟადობა, მაგრამ ძნელია—ცუდია უფრორე ზამთარი თუ ცივა ოთახში...

—

ცუდია ზამთარი თუ ცივა ოთახში! მხურვალე აზრები შიშველი რომ რჩება და ეძებ ყელსახვევს, სახურავს ობურით... თბილეულ სახურავ ... არ გინდა ისწავლო! რათ გინდა იცოდე: რომ ბლომად მზადდება პირველ-საჭიროებათა საგნები, ფასი საქონელზე ეცემა და იკლებს... ტონსაცემლს „პურს თვისსა არსებისა" არავის, თუ კი რომ რაიმე მზადდება. თუ შრომობს ყოველი მოქალაქე, მაგრამ: როს ტანი ცრება, არა გაქვს საჭმელი, ცივს უნდა ოთახში ძნელია ზეპირი ეკონომიის დებულებათა! ხმის ცვლით კილოთი წარმოთქვა: „ზედმეტ ღირებულებათა" წესი და ამ დროს მშიერი წილები ღრიალებს და თაგვი დაგცინის, ოხ! თაგვი გახლდებს და ბუღრავს ცარიელ ჯიბეს...

ან და იხეპარო: „გეკზამეტრი", „იამბიური დაქტილი"; „ანაპესტი",—საერთოდ: ძველ ბერძენ პოეტების ლექსთა წესი, რომელნიც ჯერ კიდევ მეშვიდე საუკუნეში სცხოვრობდნენ ქრისტეს წინ.

საბრალო მიმწერი: არ ღირსო სიცოცხლე, ამბობდა სცვდიან ცელვებში! მშიერი თუ იყო უფროი, ან და ცივს ოთახში თუ იჯდა, ვით დიდ მუდიტო-

*) ის. „სატირიკონი" № 6.

გადადის ატლანტიის ოკეანეს გარდაღმა მხარეზე.

ომმა დაამსხვრია მსოფლიოს ძალთა წონასწორობა: ზოგი პოლიტიკური დიდი სხეულები ამოიშალნენ მსოფლიოს რუქიდან, ზოგი დაძაბუნდა ომის პროცესში, ზოგმა პოლიტიკურად და ეკონომიურად განვითარების უმაღლესს წერტილს მიაღწია. ამ გვარად მსოფლიოს ძალთა განწყობილება ომის პროცესში დაისვა და დღეს, როდესაც ხდება ომის შედეგების ლიკვიდაცია და მსოფლიოს ახალი სახით დალაგების პროცესი, ყოველი დიდი სახელმწიფო სცდილობს მისთვის სასარგებლო მდგომარეობისა და პირობების შექმნას, რაც იწვევს ახალს საერთაშორისო კონფლიქტებსა და შეურიგებლობას.

ამ მომენტში ამერიკა უდიდესი პრეტენზიებით გამოდის და მსოფლიოს ჰეგემონიის ხელში ჩაგდებას ცდილობს.

მაგრამ ამერიკის პოლიტიკასა და ზრდას ბატონობისაკენ წინ ეღობება არა მარტო კაპიტალისტური ევროპა, არამედ საბჭოთა რუსეთი თავისი რევოლიუციონური ენერგიით, რომელიც ახალი სამეურნეო მეთოდებითა და ახალი სოციალური მრწამსით გამოდის სამოღვაწეო ასპარეზზე.

ბოლოს და ბოლოს ბრძოლა კაპიტალიზმსა და სოციალიზმს, იმპერიალიზმსა და რევოლიუციის შორის ახალ სახეს მიიღებს: რევოლიუციას ევროპის კაპიტალის დამარცხების შემდეგ უფრო სასტიკი და შეუპოვარი ბრძოლის წარმოება დასჭირდება ამერიკის ახალგაზრდა კაპიტალიზმთან.

ხ. დევიანი.

# ნარკვევი

## იაპონიის იმპერიალიზმი

„პრავდა“ გაკვრით იხილავს იაპონიის პოლიტიკას შორეულ აღმოსავლეთში და არკვევს მის ხასიათს. (იხ. წერილი: იაპონია და ვოსტოკ № 138).

1917 წლიდან იაპონია აშკარად შეუდგა ძველი ისტორიული გეგმის განხორციელებას,—აზიის კონტინენტზე გამოსვლას. კაპიტალისტური განვითარების სტადია, რომელშიაც იაპონია იმყოფება უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში და მისი პოლიტიკური წესწყობილება, რომელსაც ახასიათებს სამხედრო ფეოდალიზმი—მოითხოვენ გავლენის გამოყენების ტლანქ ფორმას, სხვისი ქვეყნის დაპყრობას.

რუსეთის რევოლიუციამ მოულოდნელად შესაძლებლობა მისცა იაპონიას დაეჩქარებინა ნელი ტემპით განზრახული მოძრაობა კონტინენტზე გამოსვლისა. შორეულ აღმოსავლეთში თავმოყრილი თეთრგვარდიელები საიმედო იარაღი გახდა იაპონიის სამხედრო პარტიისათვის, რომ სისრულეში მოეყვანა იმპერიალისტური განზრახვა. ატამან სემიონოვის რაზმი, რომელიც საბჭოთა საწინააღმდეგო პირველი ორგანიზაცია იყო და დაარსდა 1917 წ. მაშინვე აყვანილ იქნა იაპონიის ხარჯზე. იაპონია აძლევდა მას ფულს, იარაღს და სამხედრო ინსტრუქტორებს. იაპონელებმა გამოიყენეს სემიონოვი სხვა თეთრგვარდიელთა ორგანიზაციების წინააღმდეგაც, რომლებიც ისინი არ ემსახურებოდნენ იაპონიის ინტერესებს. ასე, მაგალ., 1917 წელში სემიონოვს კონფლიქტი მოუხდა ხორვატთან და მთელი რიგი შეტაკებებში ჩინეთ-მონღოლეთის დიქტატორს კოლჩაკთან, როცა უკანასკნელს არ უნდოდა მიეღო იაპონიის დახმარება. რუსული ძალების დაქსაქსვისა და დაპირისპირების პოლიტიკას იაპონელები აწარმოებდნენ შორეულ აღმოსავლეთში სამოქალაქო ომის დასაწყისიდანვე.

იაპონია თავის ხარჯზე ინახავდა სემიონოვს და კალმიკოვს და ამავე დროს ხორვატს აქეზებდა გამოსულიყო „მთელი რუსეთის უზენაეს მმართველად“. მოგვიანებით აწარმოებდა აგრეთვე ესერი დერბერის „დემოკრატიულ“ მთავრობასთან და პირდებოდა ცნობას, შემდეგ კი შეიარაღებულ დახმარებას აძლევდა როზანოვს ეროვის წინააღმდეგ და სხვ.

ასე იყო 1917—20 წლებში. იმავე ხანს იაპონელები უკანასკნელ დროის კონტრ-რევოლიუციონურ ძალებთან დამოკიდებულებაში: კაპელევცების, მერკულოვის მთავრობის და ვლადივოსტოკის სახალხო კრებასა.

იაპონია მხარს უჭერს რუსულ ძალთა შორის შინაურ ბრძოლას, ახანგრძლივებს სამოქალაქო ომს და არ აძლევს, რომ ის დასრულდეს ფართე მასის გამარჯვებით და ამ რიგათ სისტემატიურად მფარველობს ანარქიას შორეულ აღმოსავლეთში, რაც ხელსაყრელ ა მისი სამხედრო პოლიტიკისათვის კონტინენტზე.

იაპონიის დამსჯელი რაზმების მოქმედება, რომელიც გამოწვეული იყო მათივე პროვოკაციით თავდებოდა სოფლების გადაწვით და მასიური დახოცვით როგორც კაცების, ისე ქალების და ბავშვებისა. ამურის ოლქში ბევრი შემთხვევა იყო, რომ იაპონიის არტილერიას სრულიად მოუსპია მთელი სოფელი. ცხადია ასეთი გზით იაპონია ადგილს ანთავისუფლებს მომავალი კოლონიზაციისათვის. მას იზიდავს მდიდარი ქვეყანა იაფი მუშა ხელით.

ასეთია იაპონიის პოლიტიკა შორეულ აღმოსავლეთში, რომელსაც ვერ შეურიგდება ვერც წყნარი ოკეანეს ნაპირებზე დაინტერესებული საერთაშორისო ძალები და ვერც საბჭოთა რუსეთი. ეს გარემოება ნიადაგს ამზადებს ახალი მძაფრი კონფლიქტისათვის.

# უცხოეთი

### დამამშვიდებელნი

**ლიონი.** 4 ივლისი, ჰინდენბურგში გაგზავნილია საფრანგეთის პატრული გერმანელებსა და პოლონელებს შორის შეტაკების შესაჩერებლად. მოქმედებაში იყო ხიშტები და ტყვიამფრქვევები, რასაც შედეგად მოჰყვა 11 მოკლული და რამოდენიმე დაჭრილი.

### ვერსალის ზავი

**ბერლინი.** 2 ივლისი, პოლონეთის საზღვარზე გლივიცის სამხრეთით ხდება შეტაკება გერმანელებსა და პოლონელებს შორის. ორივე მხრიდან მსხვერპლი დიდია.

### გაფიცულთა მილიონი

**ბერლინი.** 2 ივლისი, შეერთებულ შტატებში გაფიცულია 400.000 მუშა—რკინის-გზელი და 500.000 მაღაროში მომუშავე.

## ინგლისი

### ასკვიტის განცხადება

**ნაუენი** 2 ივლისი, ასკვიტმა განაცხადა, რომ საერთო ეკონომიური მდგომარეობა გაუარესდა იმ მდგომარეობასთან შედარებით, რომელიც იყო ამ სამი წლის წინად, იმიტომ, რომ მთავრობა პასუხისმგებელი სახელმწიფო მოღვაწეები დაუფიქრებლად ვალების საკითხის გადაწყვეტას, ქაღალდის ფულების მოსპობას და ფაქტიურ ოკუპაციაზე საბოლოოდ უარის თქმას. ასკვიტი მოითხოვს, რათა გერმანიის ვალდებულებანი უნდა იყოს ნავარაუდევი მის გადახდის უნარიანობასთან.

### ამერიკას მონაწილეობა

**ნაუენი.** 2 ივლისი, გაზ. „დეილი მეილის“ აზრით, შეერთებულ შტატების ევროპის აღდგენაში მონაწილეობა დამოკიდებულია საფრანგეთის მიერ ინგლისის თვალსაზრისის მიღებაზე, გაზეთი დაასკვნის, რომ ინგლისი მზადაა საფრანგეთის თავდაცვითი კავშირით, რომელიც იქნება სავალდებულო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთს თავს დაესხმიან გერმანელები, გაზეთი იმედოვნებს რომ საფრანგეთი მიიღებს მონაწილეობას ევროპის აღდგენაში.

### ინგლისის ფინანსები.

**ნაუენი** 2 ივლისი, ამერიკის ყოფილმა ელჩმა ჟერარმა ნიუ-იორკში განაცხადა, რომ მას არ ესმის რატომ უნდა ჰქონდეს ინგლისს თავის განკარგულებაში ნაღდი ფული, როდესაც მთელი ოქროს მარაგის კონტროლი არის შეერთებულ შტატების ხელში. ჟერარი მაინც დარწმუნებულია, რომ 15 წლის შემდეგ ინგლისი იქნება შეერთებული შტატების კრედიტორი.

## ირლანდია

### სამოქალაქო ომი

**ნაუენი.** 2 ივლისი, ირლანდიის მთავრობა აქვეყნებს მანიფესტს, რომლითაც რესპუბლიკანელების საწინააღმდეგო შეთქმულება მანიფესტი აფრთხილებს ირლანდიელებს არ მიიღონ მონაწილეობა მოძრაობაში, რომელიც შეიძლება ომით გათავდეს. ირლანდიის რევოლიუციონერები, რომელთაც დუბლინში დაიპატიმრეს ინგლისის გენერალი, შეპყრობილნი არიან. შეტაკება გრძელდება.

### კომუნისტური ფრაქცია იტალიის სოციალისტურ პარტიაში

**ვარშავა.** იტალიის გაზ. „ილ კომუნისტი“ გვაცნობებს გამოსვლას ახალი სოციალისტური გაზეთის „პიუ ავანტის“ პირველი ნომრებისა (ყველაფერი წინა), რომელსაც სცემს იტალიის სოციალისტური პარტიის ფრაქცია და რომელიც აგრეთვე მოუწოდებს მესამე ინტერნაციონალისადმი შეერთებისაკენ. გაზეთს ხელმძღვანელობენ ლაცცერი, რიბოლდი და მოსი.

მოწინავე წერილში, რომელიც მოთავსებულია გაზეთის პირველ ნომერში, რედაქცია სხვათა შორის, აცხადებს: „ჩვენი ფრაქციის წევრები—კომუნისტებია რწმენითაც და მოქმედების მეთოდებითაც. როგორც კომუნისტები, ჩვენ ვიზიარებთ მესამე ინტერნაციონალის აზრებს. გმას და მიუხედავად, თუ ჩვენ ფორმალურად არ ვერთდებით კომუნისტებს და ვრჩებით ძველს სოციალისტურს პარტიაში მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ მიგვაჩნია ის ბრძოლისათვის უფრო სასარგებლოდ. უმრავლესობა იტალიის მუშებისა, ჯერ არ არის, ეკუთვნის სოციალისტურს პარტიას. საჭიროა გავარკვიოთ მუშათა კლასი ჩვენი მიმართულებით; და მისის შესასრულებლად ჩვენ ვრჩებით სოციალისტურს პარტიაში“.

### სოციალისტური პარტიის გახრწნა

**ბ რატონი** „პოპოლო სოციალისტა“-სწერს, რომ კონგრესის წინ სოციალისტური პარტია იმყოფება სრული გახრწნის მდგომარეობაში. პარტია ამჟამად ითვლის 5 მოწინააღმდეგე ფრაქციას: მაქსიმალისტებისა, სერრატიანებისა, მაქსიმალისტებისა, ცენტრისტებისა და რეფორმისტებისა.

### მახების გავლენით

**ბერლინი.** 22 ივნისი. წინადადებამ, რომელიც შეიტანა ბურჟუაზიულმა ბლოკმა ლანდტაგის გაშვების შესახებ შეკრიბა 800.000 ხელის მომწერი საქსონიის ამომრჩეველ მოქალაქეთაგან, რომელიც უდრის 2.946.000 ამომრჩეველს. ამასთან დაკავშირებით, საქსონიის კანონების მიხედვით, შემოდგომაზე უნდა მოხდეს რეფერენდუმი ლანდტაგის გაშვების შესახებ. საქსონიის კომუნისტებმა საქსონიის სოციალისტური მთავრობის სისტემატიური კაპიტულიაციის გამო ბურჟუაზიული პარტიების წინაში, გამოსთქვეს აზრი დაუყოვნებლივ ახალი არჩევნების მოწყობის სასარგებლოდ. საქსონიის სოციალისტურმა მთავრობამ დაუწია რა ანგარიში ახალი არჩევნების აუცილებლობას, გადასწყვიტა აიწიოს თავისი სოციალისტური პროგრამა და გაუგზავნა იმპერიის მთავრობას შემდეგი მოთხოვნილებებით: სრული სოციალიზაცია ნახშირის მაღაროების, სახელმწიფო კონტროლის განხორციელება იმ წარმოებებზე, რომელთაც აქვთ საერთო მნიშვნელობა, სახელმწიფოს მიერ მოწესრიგება ფასებისა პირველი საჭიროების საგნებზე, გადიდება პურის გადასახადის 2 ნახევარიდან 4 ნახ. მილიონ ტონამდე და ბოლოს სახელმწიფო რეგლამენტაცია კარტოფილით და ... ვაჭრობაზე.

### რუსეთის ფინანსური მდგომარეობა

**ნაუენი.** 3 ივლისი. ... ხმობა განცხადება ... ფინანსების მდგომარეობა, რათა გამორკვეულ იქნეს საკითხი რუსეთის ვალების მოსპობის ან მორატორიუმის შესახებ.

### რატენაუს მოკვლის შესახებ.

**მოსკოვი.** 2 ივლისი. დამოუკიდებელთა ფრაქციამ პრუსიის ლანდტაგში შეიტანა შეკითხვა ლიბკნეხტის, ლიუქსემბურგის და რატენაუს მკვლელობის შესახებ. ინტერპელაციაში აღნიშნულია, რომ ამ მკვლელობებში აუცილებლად მონაწილენი არიან ნაციონალისტური ორგანიზაციები და მოითხოვენ დამნაშავეთა მკაცრად დასჯას.

### გერმანიის მუშათა შორის.

**მოსკოვი.** 2 ივლისი. გაზ. „ფორვერტსი“ აქვეყნებს ბერლინის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების ცენტრალური ორგანიზაციის მოთხოვნილებებს, რომელნიც უფრო შორს მიდიან, ვინემ სამ პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანებული პროფკავშირები. ფაბრიკა-საქარხნო კომიტეტები მიუთითებენ მუშებს იმ აუცილებლობაზე, რომ თუ მთავრობა უარს იტყვის მათ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე, მაშინ საჭიროა მთავრობის იძულებით გადადგომა და მუშური მთავრობის შედგენა. შესაძლებელია მთავრობის კრიზისი მოხდეს მუშათა მოთხოვნილების ან და პურის გაწერის საკითხის შესახებ.

პრესა წინდაწინვე აღნიშნავს, რომ ბურჟუაზია დაემორჩილება სოციალ-დემოკრატიის დიქტატურას. გაზ. „ფორვერტსი“ მოითხოვს ახალი არჩევნების დანიშვნას და კაბინეტის მემარცხენე ფრთის გაძლიერებას.

### ინგლისელ მუშათა შორის.

**მოსკოვი.** 2 ივლისი. ბრიტანეთის მუშათა პარტიის კონფერენციაზე ცხარე კამათი გაიმართა ესერების პროცესის საკითხის შესახებ. (დასასრული არ არის მიღებული).

# გერმანიის ამბები

### მუშათა წრეებში

**მოსკოვი.** 2 ივლისი, გაზ. „ფორვერტსი“ აქვეყნებს ბერლინის ფაბრიკა ქარხნების კომიტეტების ცენტრალური ორგანიზაციის მოთხოვნილებებს, რომელნიც უფრო შორს მიდიან, ვინემ სამ პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანებული პროფკავშირები. ფაბრიკა საქარხნო კომიტეტები მიუთითებენ მუშებს იმ აუცილებლობაზე, რომ თუ მთავრობა უარს იტყვის მათ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე, მაშინ საჭიროა მთავრობის იძულებითი გადადგომა და მუშური მთავრობის შედგენა. შესაძლებელია მთავრობის კრიზისი მოხდეს მუშათა მოთხოვნილების ან და პურის საკითხის შესახებ.

პრესა წინდაწინვე აღნიშნავს, რომ ბურჟუაზია არ დაემორჩილება სოციალ დემოკრატიის დიქტატურას. გაზ „ფორვერტსი“ მოითხოვს ახალი არჩევნების დანიშვნას და კაბინეტის მემარცხენე ფრთის გაძლიერებას.

### დაპატიმრებანი.

**ნაუენი** 3 ივლისი. დაპატიმრებულია რამდენიმე პირი, რომელთაც ბრალდებენ რატენაუს საწინააღმდეგო შეთქმულების მონაწილეობაში.

### რესპუბლიკის დაცვა.

**ნაუენი** 3 ივლისი. მომავალ სამშაბათს რეიხსტაგში შეტანილ იქნება კანონი რესპუბლიკის დაცვის შესახებ.

### იპოვეს.

**ბერლინი** 2 ივნისი. ბერლინის ერთ-ერთ განაპირა უბანში იპოვეს რევოლვერი, რომლითაც მოჰკლეს რატენაუ. რევოლვერში დარჩა 4 ტყვია.

### ერთი კომპანია.

**ბერლინი** 2 ივლისი. პრუსიის პრესა აღნიშნავს იმ კავშირს, რომელიც არსებობდა სტუდენტ—გიუნტერს ჰელფერიხს და ლიუდენ-დორფს შორის. ეს უკანასკნელი უგზავნიდა გიუნტერს ლოზუნგებს დროშებზე დასაწერად.

### ეკუთვნოდა.

**ლონდონი** 2 ივლისი. პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრს სევერინგს რეიხსტაგში პარასკევს სიტყვის წარმოთქმის დროს მემარცხენე დეპუტატები უძახოდენ „მკვლელო“.

---

რიაში ხელებ წალუჯრებული, ჭკვიანი სახის და ჭკვიანთ მეტყველი პროფესორი.

— ტირტეის ნაწარმოების შესახებ დავა ჰქონდათ გამოჩენილ მეცნიერთ: ვილიამოვიცს—მელენდორფს, მიერსა და სხვებს—

მას ყველა მოუსმენს რიდებით, მაგრამ ჩემს გვერდით მსმენელმა დაამთქნარა; „შენ, ძმაო, გამაძღარხარ, რადგანაც მჭადის სუნი ამოგდის ხახაში მთქნარების დროს“... შევნიშნე მას.. „გამერდინებული ფქვილი ჩამოვიდა“.. ხმა დაბლა მიპასუხა მხიარულ თვალებში ცქრიალით გამხდარმა მსმენელმა.

დავდუმდი.. მოვიხედე—გავკვირდი: მსმენელთა ყველაზე მეტია, ბელატი—თავშიშვლა მღვდლები და ქალები, ქალები.. „აქ, შვილო, მარტოკა უნივერსიტეტია თუ კიდე სხვა რამე დაწესებულება“? მკითხავდა მამა ეჭვს წ.ნ. ალბათ მას თვალს სჭრიდა სიმრავლე მღვდლების და ქალების.

მართლაც და მიკვირს მოხუცი მღვდლების საქმე! ჯერ ჩემი წლები რა არის და მგონი მერე ვერ მოხუცი უდროვო.. ამბობენ ფრიად აბარებენ ყველაფერს მღვდლები. სემინარიელებს ჩვევიათ ზეპირი და მათაც ძალუძსეს ენები.

ვინ იცის: იქნება, კარგ რასმე სჩადიან: მე თუ არ ვზეპირობ და ვცდილობ, რომ მივწვდე ყოველსა საკითხებს თვის სიგრძე—სიგანით,—რა ვქენი? სულ ნელი ნაბიჯით მივდივარ.

„ფილოსოფიის შესავლის“ ლექტორმა წიგნმა ბევრს ტვინი აურია. გნოსეოლოგია არც ისე ადვილი საგანია და ვისაც მხოლოდღა ჩვენი ტრაბახა იმერელი პროფესორის ლექცი წიგნით უსწავლია,— საცოდავია. თუმცა და სიბრძნის მეტყველების დარგზე ბევრი ფილოსოფოსი გამოვიდა. სულ ბევრი, მრავალი დიდ იმედებს იძლევიან. მაგრამ იმიტომ იზრდება ალბათ ფილოსოფოსთა რიცხვი, რომ სამი მეოთხედი მსმენელთა მჭადზე აღზრდილი იმერლობაა. არისტოტელე, პლატონი, სპინოზა და კანტის მოძღვრება ისე ისწავლეს, ვით სიმღერები უბრალო მათ: „სიმონიკა გოცაძე“. ო, რა დიდია შედეგები და მნიშვნელობა მჭადისა!

მჭადია საწყისი ყოველგვარ ბეჯნიერების: სიმშილის მომსპობი, ჯანის და ღონის მომცემი და გონების გამფართოებელი, როგორც ამტკიცებს ქართ. უნივ. ცნობილი ასისტენტი. მჭადია თითქმის ყველაფერი, ო, მჭადი! რომელიც მე არა მაქვს სიძლომით, სიძლომით კი არ ა ეხლა ერთი ნამცეცი ც. ოთახში კი ცივა! ეკანკალებ. მშიან. ეხლა წერის დრო არ არის, არა! აზრები ისედაც ვერ ისხამენ ხორცს. ათასი ამთქნარო ხახაში მჭადის სუნი აღარ ამოდის. გულს რაღაც გამოუთქმელი სევდა და კაეშანი აწვება. არასდერი აღარ მახარებს

იმედები ჰქრებიან სიკვდილის სილუეტებით და ჩემს ირგვლივ საოცარი, ტვინის შემრყევი, სამარისებური სიჩუმეა. სიჩუმე მხოლოდღა ხანდისხან მძაფრათ მოისმის ცარიელ შკაფში შეპარული თაგვის წივილი; ო, თაგვი დაგცინის, გახელებს და ბურღავს ცარიელ თაროს, ცარიელ თავს.

ქართ. უნივ. მსმენელი.
ქ. ტფილისი 1920 წელი.

## შარადა.

პირველი ასო შარადის
ანის შემდეგა სწერია.
მის მერე მთ ერთი სიტყვაა,
ფიქრი არ უნდა ბევრია;
ასამდი ხუთჯერ ითქმება;
ბოლოში მოსაჭერია
რიცხვია ხუთ წყვილიანი,
სამი ასოსგან წყობილი.
ვგონებ შარადა იქნება
ადვილათ გამოცნობილი.
მერმე მოვაბამთ ერთ სიტყვას,
მოუხარშავის სახელსა.
ასეთი რამის მიხვედრა,
არც გულს მწყვეტავს, არც წელსა
სულ ყველა ერთათ ქალაქი
ადვილათ მოსაგონები
ზავი ზღვის პირას ჰყუდია.
იქ მიდის ჩვენი ბონები.

რაჟდენ მაკვლიერი.

## განცხადება.

ვინაიდან ჩვენი წერილები საგაზეთო მასალა და რედაქციიდან გამოგზავნილი გაზეთები ყოველთვის გზაში იკარგება, ამისათვის ვაცხადებთ: გვჭირდება გამოცდილი აგიატორი კარგი ჰაერო პლანით, რომელსაც დავალებული ექნება წესიდან ტფილისამდე წერილების ზიდვა და რედაქციიდან გაზეთების გადმოტანა. აგიატორს ჯილდოთ მიეცემა ფოსტის იმ მოხელის სინდისი და პატიოსნება, რომელიც ასე ურცხვათ ითვისებს სხვის გაზეთებს.

რაჟდენ მაკვლიერი.

რედაქტორი ავენა წკაპურაძე.

# ახალი ამბები

**ტფილისის ელექტროფიკაცია.** ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის მომწყობ კომიტეტისა და ჰიდრო-ელექტრონის სადგურების პროექტების შემმუშავებელ ტეხნიკურ კომისიის შეერთებულმა სხდომამ მოიწვია ზემო ავჭალის სადგურის ელექტრო-ტეხნიკური შეიარაღების სპეციფიკაცია ენერგიის გამტარებელი ხაზით ქ. ტფილისამდე, რომელიც შედგენილია სახელმწიფო აღმშენებლობის კომიტეტის ჰიდრო-მომწყობ განყოფილებისაგან, და დაადგინა მოელაპარაკოს რამოდენიმე უცხო ფირმებს სპეციფიკაციაში ჩამოთვლილი ელემენტების დადგმის შესახებ. ამასთანავე დრო უნდა იყოს განსაზღვრული ფირმების მხრით აღნიშნულ ელემენტების გამოგზავნის შესახებ.

— ჰიდრო-ელექტრონის სადგურის მომწყობმა კომიტეტმა განსაზღვრა ტეხნიკურ პერსონალის გასამრჯელო თვეში თვითეულ პიროვნებას—12 მილიონამდე.

— ფინანსიურ საკითხების მოსაწესრიგებლად დადგენილია გამოეთხოვოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს 10.000 გირ. სტერლინგი ჰიდრო-ელექტრონის სადგურის მოსაწყობად წინასწარი ხარჯებისათვის და შეიტანონ ეს თანხა კომიტეტის მიმდინარე ანგარიშებში. ამ ანგარიშით შეტანილ იქნეს გადარიცხვა ქალაქის აღმასკომისათვის.

— კომიტეტის წევრსა და პასუხისმგებელ მდივანს ამხ. ლონტს დაევალა აწარმოოს კომიტეტის ყველა ფინანსიური ოპერაციები.

— **რ. ს. ფ. ს. რ. სახელმწიფო ბანკი ამიერ კავკასიაში.** რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო ბანკი ხსნის ტფილისში, ბაქოში, ბათომსა და ერევანში თავის განყოფილებებს. სხვა და სხვა კითხვების გამოსარკვევად, რომელიც დაკავშირებულია საბანკის გახსნასთან ამიერ-კავკასიაში, ჩამოვიდა საბჭოთა რუსეთის სახელმწიფო ბანკის მთავარი ინსპექტორი ი. ჩაგოველი ტფილისის განყოფილების გახსნა განზრახულია აგვისტოს თვის დასაწყისში.

— **თავსხ მოსავალი.** უკანასკნელ დროის ხშირმა წვიმებმა დიდად შეუწყო ხელი თავის მოსავლის ქალაქის მიდამოებზე.

— **ექსკურსიების მოწყობა.** საბჭოთა საქართველოს სამხატვრო აკადემიას განზრახული აქვს ზაფხულის სემესტრში რამდენიმე ექსკურსია ტფილისის გარემოების დასათვალიერებლად, რომ აკადემიის მოსწავლეები გაეცნონ წარსულის ძეგლებს და აგრეთვე აწარმოვონ პრაქტიკული მუშაობა პეიზაჟზე და ძველ არქიტექტურაზე.

— **შუამდგომლობა.** რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების პრეზიდიუმმა შუამდგომლობა აღძრა ამიერ-კავკასიის ფედერალური საბჭოს წინაშე, რომ დროებით მისცეს განყოფილებას ნივთიერი დახმარება, რადგან საზოგადოება განიცდის მძიმე ეკონომიურ კრიზისს.

—**სოხუმი.** ივნისის 21 იდგა ილქნიან

მოტორიანი გემები—7 საბჭოთა და 5 ოსმალეთის, 5 იალქნიანი ფელუგა ოსმალური და 3 გემი:—იტალიის, სამხრეთ სლავიის და საბჭოთა რესპუბლიკების.

ივნისის 23 იყო: 10 საბჭოთა და 4 ოსმალეთის იალქნიანი მოტორიანი გემები, 5 იალქნიანი ფელუგა ოსმალური, და 2 ორთქლმავალი გემი—იტალიის და საბჭოთა.

ოჩემჩირეში იდგა: ივნისის 15. იალქნიან-მოტორიანი გემი, 17 ფელუგა; ივნისის 17 და 18: იალქნიან-მოტორიანი გემი და 15 ფელუგა; ივნისის 24—7 იალქნიან-მოტორიანი გემი და 14 ფელუგა.

— **ფოთის ნავთსადგურში.** ივნისის 27-ს სოხუმიდან მოვიდა „ცხენის წყალი“ და „ალიოშა ჯაფარიძე“ 15 მგზავრით და ბათომიდან გემი „თავრიდა“. ივნისის 28-ს სოხუმიდან რუსული გემი—„პუშკინი“ 70 ფ. მარილითა და „გიორგი“ 300 ფ. სიმინდითა და 180 ფ. ერბოთი, „პესტელი“ 40 ფ. ტვირთითა და 84 მგზავრებით; ბათომიდან საქართველოს გემი „თამარა“ 35 ფ. ფქვილით, ნოვოროსიისკიდან ნორვეგიის გემი „ბიულანდ“. ივნისის 29-ს ოსმალეთის იალქნიანი „სალამეტი“ ტუაპსედან და ივნისის 30-ს—ოსმალური იალქნიანი გემები „ემაილი“ ანაკლიიდან, „ჯეილანი“ რედუტ-კალედან, „შაინი“ ანაკლიიდან, „სალამეტ“ ხოფიდან 60 ფ. ტვირთითა და საქართველოს—„ცხენის წყალი“ ბათომიდან 650 ფ. ტვირთითა და 7 მგზავრით. ნავთსადგურიდან გავიდა: 27 ივნისს ინგლისური გემი „ტირია-გარსტონი“ 4151 ტონი მარგანეცით; 28 ივნისს—„გიორგი“ ბათომისაკენ 190 ფ. ერბოთი, „თამარა“—რედუტ-კალესაკენ და „პესტელი“ ბათომში; 30 ივნისს—გერმანეთის გემი „ცრონია“ როტერდამში—4723 ტონი მარგანეცით და ორივე „სალამეტი“ ტრაპეზუნდისაკენ.

## სამხატვ. ქრონიკა

**ნ. ჩხეიძის გასტროლი.** ივლისის 9-ს, რუსთაველის თეატრში გაიმართება ჩვენი სცენის დამსახურებულ მსახიობის ნინო ჩხეიძის წარმოდგენა. დადგმული იქნება ცნობილი პიესა „მარგარიტა გოტიე“, რომელშიაც მარგარიტას როლს შეასრულებს ნ. ჩხეიძე.

## სახალხო კომისართა საბჭოში

**სასურსათო ხარკი ადგილობრივ აღმასკომებისათვის.**

სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა სასურსათო სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, სასურსათო ხარკის შემოსავლიდან ნაწილის ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტების სასარგებლოდ გადადების შესახებ. დადგენილებით აღმასკომების სასარგებლოდ დატოვებულ იქნება 15 პროც. მთელი სასურსათო შემოსავლიდან, რომლიდანაც 10 პროც. გადაეცემა სამაზროსა და 5 პროც. სათემო კომიტეტებს.

**მიწ.-მოქ. კომისრის მოადგილის დანიშვნა.**

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, მიწად მოქმედების სახალხო კომისრის მოადგილედ დაინიშნა ამხ. გ. ქიქოძე.

**საღერბო გადასახადები.**

თანახმად სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა ყველა სახალხო კომისარიატები და მთავრობის დაწესებულებანი ვალდებულნი არიან წარმოადგინონ ხაზინაში საღერბო გადასახადიდან შემოსული თანხები.

**სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებები.**

სახალხო კომისართა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე მიღებულ იქმნა დადგენილებები მუშა მოსამსახურეთა დათხოვნის დროს ანგარიშების გასწორების შესახებ; მუშა მოსამსახურეთათვის შეღავათების მიცემის წესისა და კომუნალურ გადასახადთა დაარსების შესახებ.

**დახმარება დაზარალებულ მცხოვრებთ.**

ნიაღვრისაგან დაზარალებულ ს. მონავის (ტფილისის მაზრა) მცხოვრებთათვის დახმარების აღმოსაჩენათ, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს გაეხსნა 10.000.000 მ. კრედიტი.

**სახალხო სასამართლოები.**

იუსტიციის სახალხო კომისარიატის შუამდგომლობით გადაწყვეტილ იქნა გაიხსნას სახალხო სასამართლოები ხარაგოულში, ბორჯომში, ქოშაკლოში და ნოქალაქევში. აგრეთვე გახსნილი იქნება საგამომძიებლო უბნები ლაგოდეხში, აბაშაში და ნოქალაქევში.

**ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.**

სახალხო კომისართა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე დამტკიცებულ იქნა დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვები უფროს ნოტარიუსთა არქივების შესანახად 1922 წ. განმავლობაში 4 521.150.000 მან. რაოდენობით და იუსტიციის კომისარიატის დასჯა-გასწორების განყოფილების—12.339.980.000 მან. რაოდენობით.

**საფუთო გადასახადი ტფილისის სასარგებლოდ.**

სახალხო კომისართა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე განხილულ იქმნა ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ წარმოდგენილი პროექტი დეკრეტისა ტფ. აღმასკომის სასარგებლოდ რკინის გზით გატანილ და შემოტანილ საქონლებზე საფუთო გადასახადის დაწესების შესახებ. კომისართა საბჭომ პრინციპიალურად მოიწონა აღნიშნული პროექტი, მხოლოდ საჭიროდ სცნო საფუთო გადასახადის რაოდენობის და მისი შემოღების ვადის წინასწარი გამორკვევა, რისთვისაც შედგენილ იქნა ცალკე კომისია სახალხო კომისართა საბჭოს, ტფ. აღმასკომის და რკინის გზის წარმომადგენლებისაგან. სახალხო კომისართა საბჭოს წარმომადგენლად აღნიშნულ კომისიაში დაინიშნა ამხ. გ. ფიცხელაური.

**ბრძოლა საქონლის ჭირის წინააღმდეგ.**

როგორც სახალხო კომისართა საბჭოში მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილ ცნობებიდან სჩანს, ახალქალაქის მაზრაში საქონლის ჭირის წინააღმდეგ კომისარიატის მიერ მიღებულია სათანადო ზომები. საქონლის ჭირთან საბრძოლველად ახალქალაქის მაზრაში გაგზავნილია ექიმები ვეტერინარები, იგზავნება საწინააღმდეგო შრატი და სხვა. ამ ქამად სამრატე სადგურზე ტაბახმელაში დამზადებულია ახალქალაქის მაზრისთვის 150 ლიტრა შრატი. შრატის თავის დროზე მიწოდების საქმეს ძლიერ აბრკოლებს გადასაზიდავი საშვალებათა უქონლობა.

## თესვის კომიტეტის ყრილობა.

1 ივლისს გაიხსნა ს. ს. ს. რ. თესვის კომიტეტის ყრილობა, რომელზედაც გამოცხადდა ყველა მაზრის კომიტეტის წარმომადგენელნი, გარდა შორაპნისა, ლეჩხუმისა, რაჭისა და ბორჩალოსი. ყრილობაზედ არის ყველა პასუხისმგებელი ინსტრუქტორები თესვის კომპანიის. თესვის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. ს. თოდრია სრ. ს. ც. აღ. კომიტეტის თავმჯდომარე ამხ ფ. მახარაძე.

ყრილობა გახსნა ამხ. ფ. მახარაძემ, რომელმაც აღნიშა, რომ თესვის ორგანიზაცია პირველ შვილია საბჭოთა წყობილების და ძანამდე არც ერთი ხელისუფლების დროს ასეთი ორგანიზაცია არ არსებულა. ერთად ერთი მიზანი თესვის ორგანიზაციისა არის მცხოვრებთა გადარჩენა სიმშილისაგან.

მე ვიცნობ თქვენ შორის ბევრს, აღნიშნა ამხ. ფ. მახარაძემ—რომლებთანაც ერთად გვეხდებოდა თესვის კამპანიის ჩატარება 1921 წ. და მაშასადამე თქვენ უკვე დახელოვნდით ამ საქმეში და ეხლა მეტის უნარით შეგვიძლია უხელმძღვანელოდ თესვის კამპანიას. ჩვენ მოგვდის ცნობები, რომ თქვენ შესძელით თქვენი მოვალეობის შესრულება უფრო მეტად ვიდრე 100 პროცენტით.

მიწათ-მოქმედების კომისარიატის სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. გ. ავალოვი, რის შემდეგ თესვის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლის მიერ გაკეთებულ იქნა მოხსენება თესვის კამპანიის მდგომარეობის შესახებ 1921—1922 წ.

**თესვის კამპანია 1921 წელში.**

სტატისტიკური ცნობების მიხედვით 1915 წელს მთელ საქართველოში, ბათომისა და სოხუმის ოლქის გამოკლებით, ხორბლეულობით დათესილი იყო 600 000 დესეტინა, მათ შორის შემოდგომის პურით 24,1 პროცენტი, ანუ 144600 დესიატინა; გაზაფხულის პური 27,7—პროცენტი ანუ 165,200 დესიატინა; სიმინდით 48,2—პროცენტი ანუ 289,200 დესიატინა. საშუალო მოსავლის დროს იძლეოდა:

50 ფუთი × 144,600 დესეტინა = 7,230,000 ფუთს.

55 ფუთი × 166,200 დესეტინა = 9,141,000 ფუთი.

80 ფუთი × 289,200 დესეტინა = 23,136,000 ფუთი.

39,507,000 ფუთი

სათესლე გადიოდა—4,000,000 ფ.

რჩებოდა— 35,507,000 ფუთი.

საქართველოში მცხოვრებთა 2,300,000 სულის მიხედვით, სულზე წლიურად მოდიოდა 15—ფუთი. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ რაოდენობიდან, შინაურ საქონლის საკვებათ მიდიოდა ნაწილი, თვითეულ სულზე მიდიოდა არა უმეტეს 1—ფუთისა, აქედან აშკარად სჩანს, რომ თითოეული სული ყიდულობდა თვიურად 20—გირ. ე. ი. წელიწადში 6—ფუთს, რითაც აიხსნება ის მდგომარეობა, რომ რუსეთიდან წლიურად შემოდიოდა 6—7—მილიონი ფუთი პური.

1915 წლიდან ომის გამო დათესილი მინდვრების სიდიდე თანდათან მცირდებოდა. ამას უნდა დაუმატოთ ცუდი კლიმატიური პირობების შექმნა უკანასკნელი წლების განმავლობაში, რის გამოც 1920 წელში დათესილ მინდვრების რაოდენობა შემცირდა 56,500 დესიატინამდე, მხოლოდ 1921 წელს ეს რაოდენობაც შემცირდა 30—40 პროცენტით.

რევოლიუციონურმა ხელისუფლებამ ამას მიაქცია ჯეროვანი ყურადღება და შესამჩნევათ გამოასწორა საქმე. საქართველოს რევკომის 1921 წლის 18 მარტის დადგენილებით, მიწათ-მოქმედების კომისარიატთან დაარსდა თესვის ცენტრალური კომისია, რომელსაც დაევალა სამაზრო და სარაიონო კომისიების შექმნა თესვის კამპანიის სახელმძღვანელოთ. მიუხედავათ იმისა, რომ ცენტრალურმა კომისიამ და მისმა ორგანოებმა დაიწყო მუშაობა მარტის ბოლო რიცხვებში ე. ი. ძალიან გვიან, მაინც მიხწეულ იქმნა დამაკმაყოფილებელი შედეგები. კომისიების მიერ შეგროვილი იყო 663,185 ფუთი საგაზაფხულო სათესი, რომლითაც დითესილი იქმნა 20,894 დესიატინა. სულ კი თესვის კომიტეტის დახმარებით რესპუბლიკაში დათესილი იქმნა 788,775 დესიატინა.

კამპანია დასრულდა 1 ივნისს.

**შემოდგომის სათესი კამპანია 1921 წ.**

შემოდგომაზე ცუდი კლიმატიური პირობების გამო, მუშაობას დიდი დაბრკოლება ეღობებოდა წინ. მთელ მიწების დასათესათ საჭირო იყო 9 მილიარდი მანეთი, ფაქტიურათ მოხმარდა საქმეს 1,821,000,000 მანეთი, რომლისაგანაც სასურსათო კომისარიატის მიერ გამზადებული იქმნა 1 მილიარდის ხორბალი 8,100 ფუთი. და დანარჩენი 821 მილიონი მანეთი გადაეცა სამაზრო კომიტეტებს ხზკა და სხვა საოპერაციო ხარჯებისათვის. პირობები მუშაობისა მეტად რთული იყო, როგორც ფულის ნაკლებობის მხრივ, აგრეთვე სხვა მიზეზებისა გამო. ამიტომ მცხოვრებთა შორის განაწილებული იქმნა სულ 26668 ფუთი შემოდგომის სათესლე ხორბალი.

**გაზაფხულის თესვის კამპანია 1922 წ.**

თებერვლის დასაწყისში სამაზრო კომიტეტების მიერ მოთხოვნილება იყო 430,000 ფ. ხორბლის. საერთო მოთხოვნილება მთელს რესპუბლიკაში უდრიდა 2,600,000 ფუთ ხორბალს. ცენტრალური კომიტეტის მიერ განაწილებული იქმნა სულ 257,110 ფუთი სათესი მასალა.

**მოსავლის პირი.**

იმ მასალით, რომელიც არის ცენტრალური კომიტეტის განკარგულებაში, მოსავალს აღმოსავლეთ საქართველოში კარგი პირი უჩანს; რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს საქმე უფრო ცუდათ არის, რადგან თესვას პირველ დასაწყისს ხელი შეუშალა მუდმივმა გვალვებმა, შემდეგ გაჩნდა კალია, მინდვრის ვირთხა და სხვა მავნებელი მწერები, რამაც დააზიანა მოსავალი.

**თესვის ფონდის ორგანიზაცია.**

თესვის სამ კამპანიის განმავლობაში, ცენტრალური კომიტეტის მიერ მცხოვრებლებზე გაცემულია სულ 397,318,5 ფუთი ხორბალი სესხის სახით. ამას უნდა დაუმატოთ 10,000 ფუთი სათესლე ხორბალი მიღებული სასურსათო კომისარიატისაგან და სულ გამოვა 407,318,5 ფუთი.

ამ მოხსენებით დასრულდა ყრილობის პირველი სხდომა.

## ბრძოლა სიმშილობასთან.

**დამშეულთა დახმარება საქართველოში.** დამშეულთა დამხმარე კომიტეტის დაარსებიდანვე საქართველოში. ე. ი. ამა წლის შუა თებერვლიდანვე 1 ივნისამდის. მთავარი კომიტეტის განკარგულებაში შემოვიდა ნივთებით, ფულით და სხვა. პურის მარცვლეულობის გამოკლებით, ჯამი 4.388.233 982 მან, ამათში შემოწირულება ფულით, ნივთებით და სხ. 2.883.125.433 მან. რაოდენობით და სხვადასხვა გადასახადებიდან 1.504.883 040 მან. რაოდენობით. ეს უკანასკნელი ჯამი შედგა შემდეგი სადასახადო წყაროებიდან:

შემოსავლის კვალობაზე გადასახადის წარმატებისაგან 932.880.622 მან. საერთო შემოსავლიდან უკვე შესრულებულ საქმეების—2499633 მან. საფოსტო გადასახადებისაგან—174 352 000 მანეთი სადამოენო გადასახადიდან—395190794 მან.

პურის მარცვლეულობის ნაყოფი შემოვიდა: შემოწირული—ახლო-აღმოსავლეთში ამერიკის დამშეულთა დამხმარე კომიტეტისაგან—სიმინდი 6620 ფუთი ს. ც. ა. კომიტეტისაგან 37.500 ფ. ქერი და ცეკავშირიდან—9652 ფ სიმინდი და დამზადებულნი სახ. სას. კომისარიატისაგან 2.000 ფ. სიმინდი, შეერთებული საგარეო ვაჭრობისაგან 81.000 ფ. სიმინდი და 19 000 ფ. ქერი. ცენტრმთესვილმა—29.501 ფ. 35 გირ. სიმინდი.

უმთავრესი გასავლის მუხლები არის: 1.632 056 000 მან., გაცემული სხვადასხვა დაწესებულებისა და ორგანიზაციებისადმი სიმინდის ფქვილისა და მშიერი მცხოვრებლების საჭიროების ნაყოფის დამზადებულად 1 022 989 000 მან, მიცემული სამაზრო დამშეულთა დამხმარე და სხ. დაწესებულებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლიც იქმნა გაწეული მშიერთა დახმარების ორგანიზაციის მოსაწყობად—8 580 000 მან. გაცემულია ერთდროულ დახმარებათ განსაკუთრებით გაჭირვებულთ თავის დამშეულ რაიონებისა, 4.946.200 მან დახარჯულია საზოგადო გასავალზე (ორგანიზაციაზე) და სხ.

შემოსული პურის (მარცვლეული) ნაყოფი გაწესრიგებულია მთავარი კომიტეტის მიერ სამაზრო დამშეულთა დამხმარე კომიტეტებს შორის ამ გვარად რაჭისას მიეცა 17.000 ფ. 23 გირ. სიმინდი და 9.000 ფ. ქერი, შორაპნისას—17757 ფ 20 გ. სიმინდი, 1620 ფ. ამ სიმინდის ღერღილი (კრუპა) და 9.000 ფ. ქერი, გორისას—15.392 ფ. 30 გ. სიმინდი, 6.000 ფ. სიმინდი ღერღილი და 6.000 ფ. ქერი, დუშეთისას 8.000 ფ. სიმინდი და 2.000 ქერი, ბორჩალოს—8.137 ფ. სიმინდი, ახალციხის—2.000 ფ. სიმინდი და 1000 ფ. ქერი, ქუთაისისას—12585 ფ. 25 გირ. სიმინდი და 7000 ფ. ქერი, ლეჩხუმისას—9000 ფ. 10 გირ. სიმინდი და 3000 ფ. ქერი, ოზურგეთისას—7416 ფ. 20 გირ. სიმინდი და 6000 ფ. ქერი, ტფილისისას—4032 ფ. სიმინდი და 4000 ფ. ქერი, სენაკისას—1000 ფ. სიმინდი და 4000 ფ. ქერი, სამხრეთ ოსეთისას 5333 ფ. 10 გირ. სიმინდი და 2500 ფ. ქერი, საბჭოთა—1887 ფ. სიმინდი, ახალქალაქის 1000 ფ ქერი და თიონეთ ს 2000 ქერი

## ნათესების მდგომარეობა ჩვენში

### (ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ცნობებიდან)

ნათესების მდგომარეობა ბათომის ოლქში 5 ბალიანი სისტემით.

**ა ჭ ა რ ა შ ი**

| ხორბლეულობის დასახელება | ბათომის მაზრა 15 მაისისათვის | ბათომის მაზრა 1 ივნისისათვის | ხულოს მაზრა 15 მაისისათვის | ხულოს მაზრა 1 ივნისისათვის |
|---|---|---|---|---|
| სიმინდი | 4,4 | 4,0 | 2,6 | 4,2 |
| ლობიო | 3,9 | 3,0 | 2,8 | 4,3 |
| ქართოფილი | 4,3 | 1,0 | 4,2 | 5,0 |
| ბოსტნეულობ. | 3,6 | 3,1 | — | — |
| ბრინჯი | 3,0 | 2,0 | — | — |
| თუთუნი | — | — | 4,5 | 5,0 |

| | აჭარის წყალის მაზრა 15 მაისისათვის | აჭარის წყალის მაზრა 1 ივნისისათვის | ხორბლეულობის დასახელება | ქედის მაზრა (ქედ. თემი) 15 მაისისათვის |
|---|---|---|---|---|
| სიმინდი | 3,3 | 4,0 | გაზ. პური | 3,0 |
| ლობიო | 2,6 | 3,0 | „ ქერი | 3,0 |
| ქართოფილი | — | — | „ ქვავი | 3,0 |
| ბოსტნეული | — | — | „ შვრია | 3,0 |
| ბრინჯი | — | — | „ ფეტვი | 3,0 |
| თუთუნი | — | — | — | — |

საერთოდ ნათესებს ამინდმა ხელი შეუწყო, ზოგიერთ თემებში, მაგ. კაპანდიდის თემში მოსავალი გვალვამ დააზარალა.

**ოზურგეთის და ახალციხის მაზრებში.**

| | ოზურგეთის მაზრა 15 ივნისისათვის | ახალციხის მაზრა 20 ივნისისათვის |
|---|---|---|
| სიმინდი | 2,0 | 2,3 |
| შემოდ. ქერი | 1,0 | — |
| შემოდ. ქვავი | 5,0 | — |
| ლობიო | 2,7 | 3,0 |
| ქართოფილი | 3,8 | 3,8 |
| ლობიო | 1,0 | — |
| შემოდ. პური | — | 2 8 |
| გაზ პური | — | 2,4 |
| გაზ. ქერი | — | 3,0 |

ოზურგეთის მაზრაში ნათესებს ხელი შეუშალა გვალვამ.

ახალციხის მაზრაში ამ ბოლო ხანში წვიმები გახშირდა, იმედია ნათესები გამოკეთდება.

**ტფილისის და ბორჩალოს მაზრებში.**

| | ტფილისის მაზრა 15 ივნისისათვის | ბორჩალოს მაზრა 15 ივნისისათვის |
|---|---|---|
| სიმინდი | 4,4 | 2,6 |
| შემ. ხორბალი | 3,3 | 2,7 |
| შემ. ქერი | 4,4 | 2,7 |
| შემ. ქვავი | 3,6 | 2,5 |
| გაზ. ხორბალი | 2,5 | 1,4 |
| გაზ. ქერი | 2,4 | 1.9 |
| გაზ. ქვავი | 1 | — |
| შვრია | 3 | 1 |
| ფეტვი | 3 | 2 |
| ლობიო | 3 | 2,5 |
| ქართოფილი | 3,5 | 2,5 |
| ბოსტნეულობა | 4 | — |
| ვენახი | 3,7 | 4 |
| ხეხილი | 1 | 2 |
| თივა | — | 1 |
| ასლი | = | 1 |

ბორჩალოს მაზრაში ნათესებს ხელი შეუშალა გვალვამ.

**სიღნაღის მაზრა.**

| ხორბლეულობის დასახელება | 1 მაისისათვის | 15 მაისისათვის |
|---|---|---|
| სიმინდი . . . . | 4.3 | 3,9 |
| შემ. ხორბალი . . | 4 | 3,8 |
| „ ქერი . . . | 4,2 | 3,7 |
| „ ქვავი . . . | — | — |
| გაზაფ. ხორბალი . | 3,1 | 3.4 |
| „ ქერი . . . . | 3,2 | 3,6 |
| ფეტვი . . . . . | 3 | 3,2 |
| ლობიო . . . . | 3,8 | 4 |
| კარტოფილი . . . | 4,1 | 4 |
| ტკიპა ლობიო (აბუსალათანი) . . | 5 | — |

**თიანეთის და შორაპნის მაზრები.**

| | თიანეთის მაზრა. 15 ივნისისათვის. | შორაპნის მაზრა. 15 ივნისისათვის. |
|---|---|---|
| სიმინდი — — | 3 | 4 |
| შემ. ხორბალი — | 2,5 | 4 |
| „ ქერი — — | 2,7 | — |
| „ ქვავი — — | 1 | — |
| გაზ. ხორბალი — | 2,5 | — |
| „ ქერი — — | 2,7 | 4 |
| ფეტვი — — | 2,5 | — |
| ლობიო — — | 2,5 | — |
| ქართოფილი — | 3 | 3 |
| ტკიპა ლობიო — | — | — |

## ბრძანება

ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოს განყოფილებისა. ქალაქის მ/გ. მილიციის მიმართ.

№ 18.

4 ივლისი 1922 წ. ქ. ტფილისი.

წინადადებას ვაძლევ ქალაქის მ/გ. მილიციის უფროსს მიიღოს განსაკუთრებული ზომები შრომის სახალხო კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილების დადგენილებების ცხოვრებაში სრული სიმტკიცით გასატარებლად.

დადგენილებაში აღნიშნული თანხები სასწრაფო წესით უნდა იქმნეს აკრეფილი და შეტანილი შრომის სახალხო კომისარიატის სალაროში (რუსთაველის პრ. № 19).

რაიონის მილიციის უფროსები, რომლებიც განსაკუთრებულ ენერგიას არ გამოიჩენენ აღნიშნული თანხის აკრეფაში, დაუყონებლივ იქნან მიცემულნი პასუხისგებაში, როგორც თავიანთ თანამდებობისთვის შეუფერებელნი და უმოქმედონი.

განყოფილების გამგე, პრეზიდიუმის წევრი **მაჩაიძე.**

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი

ტირაჟი 700
საქართვ. ცენტ. მეურნ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. № 2 სტამბა. კრუზენშტერნის ქუჩა, 4.
ნ. ფ. ს. ფ.